

რეკომენდაციები ზღვის ღორის (*Phocoena phocoena*) პოპულაციის  
მენეჯმენტისთვის საქართველოს ტერიტორიალურ წყლებში

ცოტნე გოროზია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტზე  
ბუნებათსარგებლობის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია კოპალიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2015

## სარჩევი

ანოტაცია-----	3
შესავალი-----	4
1) სახეობის აღწერა-----	6
2) ფიზიკური დახასიათება-----	6
3) ჰაბიტატი-----	7
4) საკვები ბაზა-----	11
5) საფრთხეები-----	12
6) კანონმდებლობა-----	23
7) პოპულაციის შეფასება-----	23
8) რეკომენდაციები-----	32
9) ციტირებული ლიტერატურა-----	36

## ანოტაცია

ზღვის ღორი (*Phocoena phocoena*) მცირე ზომის ვეშაპისნაირია, რომელიც გავრცელებულია ცივ და ზომიერ სანაპირო წყლებში წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების ჩრდილოეთ ნაწილში და შავ ზღვაში, მაგრამ არ გვხვდება (ერთეული შემოსვლების გარდა) ხმელთაშუა ზღვაში. ხმელთაშუა ზღვაში სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის გაქრობამ ატლანტიკის ოკეანის ზღვის ღორების არეალი ორ ნაწილად გახლიჩა: ჩრდილო ატლანტიკის და შავი ზღვის. შავი ზღვის ზღვის ღორი გამოყოფილია ცალკე ქვესახეობად *Phocoena phocoena relicta* და განიხილება როგორც კონსერვაციისთვის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ერთეული. იგი შეტანილია ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის წითელ ნუსხაში, როგორც გადაშენების საფრთხეში მყოფი ქვესახეობა (კატეგორია EN) და საჭიროებს დაცვის გადაუდებელ ღონისძიებების ჩატარებას. ამისათვის აუცილებელია პოპულაციის მენეჯმენტის თანამედროვე გეგმის არსებობა, რომელიც ეყრდნობა უახლეს მონაცემებს პოპულაციების სიდიდის, სივრცულ განაწილებასა და მოქმედი საფრთხეების შესახებ.